

2018 წლის 15 ნოემბერს ბაქოში ჩატარდა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიემდვნა აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნიჰამი განჯელის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსებიდან 85-ე წლისთავს. ღონისძიების ფარგლებში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ირმა რატიანს მიენიჭა აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის საპატიო დოქტორის (honoriscausa) წოდება.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ: აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი აკიფ ალიზადე, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიჰამი განჯელის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, მეჯლისის ვიცე-სპიკერი ისა ჰაბიბელი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის სახალხო პოეტიანარი, აზერბაიჯანის სახალხო მწერალი საბირ რუსტამხანლი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვადიმ პოლონსკი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ელვა ტრაიკოვა და სხვ.